

# დაწყებითი კლასების მათემატიკის დავალების პარათები

## გამოყენების ინსტრუქცია



ამ მასალის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით. მასალების შინაარსზე პასუხისმგებელია შემდგენელთა ჯგუფი და იგი არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ მთავრობის აზრს. ეს მასალა მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად.



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**G-PRIED**

Georgia Primary Education Project  
საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი

# მათემატიკური დავალების ბარათები

## დავალების ბარათის განმარტება:

დავალების ბარათი არის მოსწავლისთვის განკუთვნილი სავარჯიშოს წერილობითი აღწერა და მითითებები, თუ როგორ შეუძლია ბავშვს მასწავლებლის მიერ მისთვის მიცემული დავალების შესრულება.

ბარათების დიზაინი ისეთი უნდა იყოს, რომ ბავშვები წაახალისოს პრობლემის გადაჭრის, დაფიქრების, კითხვების დასმის, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისა და თანამშრომლობისკენ.

დავალების ბარათი მარტივი ენით უნდა იყოს შედგენილი, რათა ბავშვებმა ადვილად შეეძლონ მისი გაგება. მასში დასმული ამოცანები უნდა იყოს გარკვეული და გასაგები როგორც მასწავლებლის ასისტენტისა და მშობლისთვის, ისე ბავშვებისთვის.

## კარგად შედგენილი ბარათის მახასიათებლები:

- აქვს დიფერენციაციის პოტენციალი იმის გამო, რომ იძლევა სხვადასხვანაირი მიდგომის, სტრატეგიისა და ჩანერის ტექნიკის გამოყენების საშუალებას,
- ბავშვს აძლევს საშუალებას წინარე უნარებისა და ცოდნის მიღმა კიდევ უფრო წინ წაიწიოს,
- ამოცანას შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი ამოხსნა ან ამოხსნამდე მისასვლელი რამდენიმე გზა,
- დავალების შესრულებისთვის საჭიროა უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ ფაქტების დამახსოვრება და გახსენება,
- ბავშვს აძლევს საშუალებას, რომ წარმოადგინოს მათემატიკური იდეები წერილობით ან მოდელების გამოყენებით,
- ბავშვს აძლევს საშუალებას, რომ დასაბუთებულად იმსჯელოს ან შეაფასოს სხვების მსჯელობა,
- შეიცავს მოკლე და გასაგებ დირექტივებს.








## ბარათის სტრუქტურა:




- საჭირო მასალები – ის, რაც მოსწავლეებს დასჭირდებათ დავალების შესასრულებლად.
- დავალების შესრულების გზები – მარტივი ინსტრუქციები, მათემატიკური აზროვნების სტიმულირებისთვის საჭირო ღია შეკითხვები და მინიშნებები.
- მკაფიოდ გამოკვეთილი სასწავლო საკითხი, რომელსაც ეხება ბარათში მოცემული დავალება - სასწავლო პროგრამის დაგეგმვისა და მოსწავლის შეფასების ხელშეწყობის მიზნით.

მართებულად შედგენილი დავალების ბარათის ნიმუში მოსწავლისთვის, რომელმაც ძირითადი დავალება სხვებზე ადრე დაასრულა:

**მათემატიკური დავალების ბარათი**

გამოთვალეთ, რამდენი წლისაა თითოეული ბავშვი.

						
ლუკა	ლალი	ანა	ქეთი	მარი	კახა	ლიანა

 = 2       = 3       = 1

პედაგოგიურად შეუფერებელი დავალების ბარათის ნიმუში მოსწავლისთვის, რომელმაც ძირითადი დავალება სხვებზე ადრე დაასრულა:

### **მათემატიკური დავალების ბარათი**



**უჯრედებიან ქალაქის ფურცელზე ჩამონერე რიცხვები უკუთვლით 100-დან 1-მდე.**

### **მასწავლებლების მიერ ხშირად გამოყენებული დავალების ბარათების ნიმუშები**

ქვემოთ იხილავთ დავალების ბარათების მაგალითებს, რომლებიც შეგიძლიათ ნიმუშებად და შთაგონების წყაროდ გამოიყენოთ.

#### **ღია დავალება**

### **მათემატიკური დავალების ბარათი**



**შეადგინე ამოცანა ხოჭოების შესახებ, რომელშიც გამოყენებული იქნება რიცხვების მიმატება.**

**პასუხად უნდა მიიღო რიცხვი, რომელიც არ აღემატება 18-ს.**

დავალების ბარათი სადიაგნოსტიკო შეფასებისთვის

### მათემატიკური დავალების ბარათი

ჩანერე რიცხვები, რომლებიც შეიცავს:

8 ათეულს და 6 ერთეულს

9 ათეულს და 2 ერთეულს

2 ათეულს და 0 ერთეულს

4 ათეულს და 7 ერთეულს

5 ათეულს და 5 ერთეულს

0 ათეულს და 4 ერთეულს

დავალების ბარათი სწრაფი მოთელვისათვის

### მათემატიკური დავალების ბარათი

შეავსე ცხრილის ცარიელი უჯრები.

თითოეულ მოცემულ რიცხვს გამოაკელი 3.

8	
6	
11	
12	

## ბარათი გამეორებისთვის

### მათემატიკური დავალების ბარათი

დაალაგე მოცემული რიცხვები კლებადობის მიხედვით.



34, 68, 13, 84

46, 25, 47, 16

19, 15, 12, 5

## ბარათი ჯგუფური მუშაობისათვის

### მათემატიკური დავალების ბარათი

წარმოადგინე მოცემული წილადები ნახატების საშუალებით.

$$\begin{array}{cccc} \frac{2}{3} & \frac{3}{5} & \frac{1}{4} & \frac{5}{6} \\ \frac{2}{8} & \frac{4}{7} & \frac{5}{9} & \frac{1}{2} \end{array}$$

ბარათი მოსწავლის დამოუკიდებლად  
გავარჯიშებისთვის

## მათემატიკური დავალების ბარათი

დახაზე ბრტყელი ფიგურები და ქვეს მიუწერე  
მათი სახელები

1. მართკუთხედი
2. კვადრატი
3. წრე
4. სამკუთხედი

ბარათი მთელი კლასის მონაწილეობისათვის

## მათემატიკური დავალების ბარათი



შეადგინეთ საკლასო ოთახში არსებული ნივთების  
სია, რომელთა სიგრძე დაახლოებით თექვსმეტი  
სანტიმეტრის ტოლია.

ბარათი „მოიფიქრე და მენყვილეს გაუზიარე“

### მათემატიკური დავალების ბარათი



თვალი გადაავლე შენი თანაკლასელების მაისურებს. შეადგინე დიაგრამა, რომელიც ასახავს სხვადასხვა ფერის მაისურების რაოდენობას. შეამონმეზინე შენს მიერ შედგენილი დიაგრამა შენს მენყვილეს.

საშინაო დავალების ბარათი

### მათემატიკური დავალების ბარათი



შეადგინე ამოცანა ზღვის ვარსკვლავის შესახებ, რომელიც გამოკლებით უნდა ამოიხსნას. დაწერე ამოცანის შესაბამისი რიცხვითი გამოსახულება.



## დავალების ბარათების გამოყენება გაკვეთილებზე:

მოსწავლეები ანესრიგებენ, განმარტავენ და აფასებენ საკუთარ ნააზრევს.

### ამოცანების ამოხსნა 1

ანდროამ ბაღში თოთხმეტი ვაშლი მონყეიტა, ვანო – ათი, გიორგი – ექვსი, ხოლო ერეკლე – ოთხი. სულ რამდენი ვაშლი მონყეიტი?

ბავშვებმა?  
რომელი ხერხის გამოყენებით ამოხსენი ამოცანა?



- დავხატე სურათი • ვიპოვე კანონზომიერება • გავითამაშე ამოცანაში მოცემული ვითარება
- გამოვიცანი და შევამოწმე • შევადგინე ცხრილი • გამოეთვალე უკუსვლით
- ჯერ ამოვხსენი უფრო მარტივი ამოცანა

### ამოცანების ამოხსნა 3

რომელია მომდევნო რიცხვი?  
150, 155, 160, 165, 170, 175



- რომელი ხერხის გამოყენებით ამოხსენი ამოცანა?
- დავხატე სურათი • ვიპოვე კანონზომიერება • გავითამაშე ამოცანაში მოცემული ვითარება
- გამოვიცანი და შევამოწმე • შევადგინე ცხრილი • გამოეთვალე უკუსვლით
- ჯერ ამოვხსენი უფრო მარტივი ამოცანა

### ამოცანების ამოხსნა 2

ლანას საკუჭნაოში სათამაშოების ექვსი ყუთი ჰქონდა. თითოეულ ყუთში სამი სათამაშო იღო. სულ რამდენი სათამაშო ჰქონდა ლანას?

რომელი ხერხის გამოყენებით ამოხსენი ამოცანა?



- დავხატე სურათი • ვიპოვე კანონზომიერება • გავითამაშე ამოცანაში მოცემული ვითარება
- გამოვიცანი და შევამოწმე • შევადგინე ცხრილი • გამოეთვალე უკუსვლით
- ჯერ ამოვხსენი უფრო მარტივი ამოცანა

### ამოცანების ამოხსნა 4

რიგში პირველი დგას, ლექსო კი მის უკან, ოთხი მოსწავლის შემდეგ. რიგში მეორედენია ლექსო?



- რომელი ხერხის გამოყენებით ამოხსენი ამოცანა?
- დავხატე სურათი • ვიპოვე კანონზომიერება • გავითამაშე ამოცანაში მოცემული ვითარება
- გამოვიცანი და შევამოწმე • შევადგინე ცხრილი • გამოეთვალე უკუსვლით
- ჯერ ამოვხსენი უფრო მარტივი ამოცანა

მოსწავლეები იკვლევენ:

**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

ორი თანმიმდევრული სამკუთხა რიცხვის ჯამი მთელი რიცხვის კვადრატია.



**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

მართკუთხედს აქვს 2 სიმეტრიის ლერძი.



**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

6-ის ჯერადები მარტივ რიცხვებზე 1-ით მეტი ან 1-ით ნაკლებია



**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

ოთხი ლუნი რიცხვის ჯამი 4-ზე იყოფა.



**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

თუ ლუნ რიცხვს კენტ რიცხვზე გავამრავლებთ, კენტ რიცხვს მივიღებთ.



**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

ოთხკუთხედს არ შეიძლება 2-ზე მეტი ბლაგვი კუთხე ჰქონდეს.



**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

20 თეთრზე ნაკლები სულ 2 თანხაა, რომელსაც ვერ შევავროვებთ 3 მონეტით.



**ბაარკვიით, სწორია თუ არა**

ორნიშნა რიცხვისა და მისი ციფრების გადანაცვლებით მიღებული რიცხვის სხვაობა ყოველთვის 9-ის ჯერადია.



## როგორ გამოვიყენოთ მათემატიკური დავალების ბარათები

### რისთვის ვიყენებთ დავალების ბარათებს?

დავალების ბარათები მოტივაციის ამამალღებელი და ეფექტური სასწავლო საშუალებაა, რომელიც შეგვიძლია გამოვიყენოთ იმისთვის, რომ უფრო ეფექტურად ჩავრთოთ მოსწავლეები მათემატიკურ აქტივობებში. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ღირს მხედველობაში მივიღოთ ამ ფასეული საშუალების გამოყენება:

- დავალების ბარათები მოსწავლეებს მოტივაციას უმაღლესს იმით, რომ ბარათზე მხოლოდ ერთი დავალება წერია. მოსწავლეს ერთდროულად რამდენიმე დავალება რომ ჰქონდეს გასაკეთებელი, იგი უბრალოდ გადატვირთულად იგრძნობს თავს. თუმცა, როცა იგივე დავალებები დავალების ბარათებზეა განაწილებული, მაშინ მოსწავლეს რიგრიგობით თითო-თითო დავალების შესრულება უნევს. როცა ერთ დავალებას გაუმკლავდება, მიღწეულის გამო მას კმაყოფილების გრძნობა ეუფლება და ამის შემდეგ მორიგ დავალებაზე გადადის.
- დავალების ბარათების შედგენა შეიძლება სპეციფიკური სასწავლო მიზნების განსახორციელებლად. თუ თქვენი მოსწავლეები ამა თუ იმ სპეციფიკურ სფეროში მოიკოჭლებენ, შეგიძლიათ შეადგინოთ დავალება ან გამოიყენოთ ზემოთ მოყვანილი რომელიმე ნიმუში სპეციფიკური უნარის განვითარებაზე ფოკუსირებული სწავლების დროს. ამის გამო დავალების ბარათები შესანიშნავი საშუალებაა ტესტისთვის მოსამზადებლადაც!
- დავალების ბარათები სწავლების დიფერენცირებას აადვილებენ. საკორექციო სწავლების საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეიძლება მიეცეთ სპეციფიკური დავალებები, რომლებიც მათ ძნელად გასაგები ცნების გაგებაში დაეხმარება. მოსწავლეებს, რომლებსაც უკვე

კარგად ესმით ესა თუ ის ცნება, შეიძლება მიეცეთ დამატებითი დავალებები, რომლებიც მათ ამ ცნების უფრო ღრმად გააზრების საშუალებას მისცემს.

- დავალების ბარათები სხვადასხვაგვარია. დავალების ბარათების ერთი კომპლექტი შეიძლება ბევრნაირად იქნას გამოყენებული: ინდივიდუალურად, ე. წ. მათემატიკის კუთხეებში, წყვილებში ან მცირე ჯგუფებში და მთელ კლასთან ერთობლივადაც კი. ბარათები შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი ყოველდღიური რუტინის გასამრავალფეროვნებლად, თამაშების ან საშინაო დავალების შესრულების დროს. გარდა ამისა, მათი გამოყენება ყველა კლასში შეიძლება.

## **ბარათების გამოყენების ხერხები**

დავალების ბარათების ერთერთი ყველაზე ძლიერი მხარე ისაა, რომ მათი გამოყენება მრავალგვარად შეიძლება. მასწავლებლებს შეუძლიათ ბარათების გამოყენება მოსწავლეებისთვის ჩვეულებრივი სასწავლო დღის ნაწილად აქციონ: გამოიყენონ იმ მოსწავლეების დამატებითი მეცადინეობისთვის, რომლებიც ამა თუ იმ ცნებას ძნელად ითვისებენ, ან გამოიყენონ იმ მოსწავლეების ცოდნის გასამდიდრებლად, რომლებიც, როგორც წესი, სხვებზე ადრე ასრულებენ დავალებას.

დანყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებელი მათემატიკაში მეცადინეობის დანყებამდე 10 წუთის განმავლობაში ამუშავებს ბავშვებს დავალების ბარათებზე. დავალების ბარათები, რომლებზედაც მასწავლებელი მათ ამუშავებს, იმ წლის მასალის, ზოგიერთ შემთხვევაში გასულ წელს შეძენილი უნარების გამეორებასაც კი ეხება. მასწავლებლები მოსწავლეებს კონკრეტული დავალების ბარათების ისეთ კომპლექტს ურიგებენ, რომელთა საშუალებით მოსწავლეებს სწორედ იმ უნარებზე ამუშავებენ, რომელთა გამეორება ან გამდიდრებაც სჭირდებათ. ბავშვებს უყვართ დავალების ბარათების გამოყენება და ამ დროს სწავლის პროცესში ჩართული არიან.

დავალების ბარათები მშვენიერი საშუალებაა სწავლების გამრავალფეროვნებისა და **დიფერენცირების**!

მასწავლებლები ადგენენ ბარათების ორ თითქმის ერთნაირ კომპლექტს, თუმცა ერთ კომპლექტში დამატებით საფეხურებს ამატებენ. მასწავლებლები ადგენენ მოსწავლის შესაბამისი კლასის პროგრამაზე უფრო მაღალი დონის ბარათების კომპლექტებსაც, რომლებითაც მოცემულ მასალაში განაფულ მოსწავლეებს შეუძლიათ მუშაობა. ბარათების ნაწილი ისეთი დავალებებს მოიცავს, რომლებითაც კრიტიკული აზროვნება მოწმდება. მოსწავლეებს უხარიათ, როცა ასეთ ბარათებზე მუშაობის შესაძლებლობა ეძლევათ!

**დავალება მომზადების დაბალი დონის მოსწავლეებისათვის ნაშთიან გაყოფაზე:**

**მათემატიკური დავალების ბარათი**

დანერეთ 4 ისეთი რიცხვი, რომელთა 7-ზე გაყოფით მიიღება ნაშთი 2.

**დავალება მომზადების საშუალო დონის მოსწავლეებისათვის ნაშთიან გაყოფაზე:**

**მათემატიკური დავალების ბარათი**

რისი ტოლია ნაშთი?  
 $(5 \times 6 \times 7 \times 8 \times 9 + 4) : 7$

**დავალება მომზადების მაღალი დონის მოსწავლეებისათვის ნაშთიან გაყოფაზე:**

**მათემატიკური დავალების ბარათი**

დაასახელეთ უმცირესი რიცხვი, რომლის 5-ზე, 6-ზე ან 7-ზე გაყოფით ნაშთში მიიღება 2?

## ბარათების ინდივიდუალური გამოყენება

თუ მასწავლებელი ბარათების კომპლექტს მოსწავლეებს რიგრიგობით მისცემს გამოსაყენებლად, მან გარკვეული მეთოდით უნდა იხელმძღვანელოს, რათა თვალყური ადევნოს, თუ ვინ დაასრულა ბარათების კომპლექტზე მუშაობა. მასწავლებლებს შეუძლიათ თვით მოსწავლეებს მიანიჭონ თავიანთი სამუშაოს დასრულებაზე მეთვალყურეთა ფუნქცია და გააკეთებინონ ჩანიშვნა სპეციალურ ფურცელზე, მასწავლებლის ჟურნალში, განცხადებების დაფაზე ან ვარსკლავებიან ცხრილზე. მასწავლებელს ასევე შეუძლია სამუშაოს დასრულების შემდეგ მოსწავლეებს აჩვენოს სწორი პასუხები, რათა მათ თვითონ შეძლონ თავიანთი ნაშრომის შემოწმება. დავალების ბარათის ინდივიდუალური გამოყენებისათვის გთავაზობთ რამდენიმე იდეას:

- მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან მათემატიკის “კუთხე” სპეციალურად გარკვეული ტიპის ბარათებისთვის ან დავალების ბარათები მათემატიკური “კუთხის” შემადგენელ ნაწილად გახადონ. მოსწავლეებს შეუძლიათ ამ ბარათებით იმუშაონ “მათემატიკის კუთხისთვის” განკუთვნილ დროს ან მაშინ, როცა თავისუფალი დრო რჩებათ.
- მოსწავლეებს შეუძლიათ დავალების ბარათები აიღონ და თავიანთ ადგილებზე შეავსონ.
- თუ კლასში რომელიმე მოსწავლეს ძალიან უჭირს გარკვეული კონცეფციის გაგება, მასწავლებელს შეუძლია სახლში გაატანოს დავალების ბარათების კომპლექტი, რომელიც კონკრეტული უნარის გასავითარებლად გამოიყენება. ამგვარად მოსწავლეს არა მხოლოდ დამატებითი დრო მიეცემა მისთვის რთულ უნარზე კონცენტრირებისათვის, არამედ ასევე უხერხულობის გრძნობაც მოეხსნება, რომელიც შეიძლება დაუფლებოდა იმ შემთხვევაში, თუ თანაკლასელების თვალწინ მოუწევდა თავისი სისუსტის გამოსწორებაზე მუშაობა. მეორე მხრივ, თუ რომელიმე მოსწავლის მშობლები მასწავლებ-

ელს თხოვენ, მათ შვილს დამატებითი დავალება მისცეს, მასწავლებელს შეუძლია დავალების გასამდიდრებლად მოსწავლეს რამდენიმე ღია შეკითხვის შემცველი ბარათი გაატანოს.

- მიუხედავად იმისა, რომ დავალების ბარათები არ აღიქმება, როგორც ტესტი, სულაც არ იქნება ურიგო, თუ ბარათების ნაკრები ტესტის მაგივრობას განეევს. მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს მთელი კომპლექტი ან რამოდენიმე ბარათი იმისთვის, რომ დარწმუნდეს, თუ როგორ გაიგო ბავშვმა ესა თუ ის ცნება.

## **წყვილებში ან მცირე ჯგუფებში**

ზოგიერთი ბარათი ადვილი გამოსაყენებელია წყვილებში ან მცირე ჯგუფებში. გთავაზობთ რამდენიმე იდეას:

მოსწავლეები წყვილებად იყოფიან, ერთმანეთს რიგრიგობით უკითხავენ ბარათებს და მათზე პასუხობენ. მოსწავლეს შეუძლია გამოიყენოს სწორი პასუხების ფურცელი იმისთვის, რომ შეამოწმოს, სწორად გასცა თუ არა პასუხი მეწყვილემ.

მცირე ჯგუფების შემთხვევაში ჯგუფის ლიდერი კითხულობს ბარათს, ჯგუფის დანარჩენი წევრები კი პასუხებს წერენ თავიანთ პატარა დაფებზე, რომლებსაც ისინი არავის აჩვენებენ, სანამ ლიდერი არ გასცემს ბრძანებას: “პასუხები მაჩვენეთ!” ჯგუფს შეიძლება მთელი აქტივობის განმავლობაში ერთი ან მონაცვლეობით რამდენიმე ლიდერი უძღვებოდეს.

არ არის აუცილებელი, რომ მოსწავლეებმა ბარათებს რიგრიგობით უპასუხონ. სპეციალურად მოწყობილ კუთხეში რამოდენიმე მოსწავლეს ერთ კომპლექტზე ერთად შეუძლია მუშაობა და ბარათების გაზიარება.

დავალების ბარათები შეიძლება სხვადასხვა სახის თამაშებისთვის იქნას გამოყენებული.

## მთელ კლასთან ერთად

მასწავლებლებს შეუძლიათ არ დაყონ საკლასო ოთახი კუთხეებად და დავალების ბარათები მთელ კლასთან სამუშაოდ გამოიყენონ. გთავაზობთ რამდენიმე იდეას:

- შეგიძლიათ გამოიყენოთ ბარათები, როგორც გაკვეთილის შესავალი აქტივობა. როგორც კი მოსწავლეები საკლასო ოთახში შემოვლენ, მასწავლებელი მაღლა აწევს და აჩვენებს ღია შეკითხვის მქონე ბარათს.
- შეგიძლიათ გამოიყენოთ ბარათები იმისთვის, რომ ითამაშოთ „გადაადგილება“. ამისთვის მასწავლებელი ყველს მოსწავლეს დაურიგებს თითო ბარათს და დანომრილ ფურცელს მასზე პასუხების დასაწერად. მოსწავლეები წაღმა პირით ალაგებენ ბარათებს თავიანთ მერხებზე. ყველა მოსწავლე თავის მერხთან დგება და ბარათზე მოცემული კითხვის პასუხს წერს პასუხების ფურცელზე, ამისთვის სპეციალურად განკუთვნილ ადგილას. რამდენიმე წუთში მასწავლებელი გასცემს ბრძანებას: “გადაადგილდით!” ამ დროს ყველა ბავშვი გადაადგილდება მომდევნო მერხთან და შემდეგ კითხვას პასუხობს. მოსწავლეები განაგრძობენ საკლასო ოთახში სიარულს მასწავლებლის ბრძანებით მანამდე, სანამ ყველა მოსწავლე დაასრულებს ყველა ბარათზე მუშაობას.

## დავალების ბარათების ტიპები

დავალების ბარათები შეიძლება ნებისმიერ მათემატიკურ საკითხს ეხებოდეს. იგი უნდა შეესაბამებოდეს მოცემული კლასის დონეს, სასწავლო მიზანს და აქტივობას. დავალების ბარათების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა კლასის დონეებისა და თემატიკის მიხედვით. ამას გარდა, ისინი ერთმანეთისგან ფორმატივითაც განსხვავდება. ბარათის შედგენისას გასათვალისწინებელია ის, თუ რა ტიპის პასუხს საჭიროებს იგი. სხვადასხვა ტიპის პასუხი სხვადასხვა აქტივობის ჩატარების საშუალებას იძლევა.



## ასარჩევი პასუხები

ასარჩევი პასუხების მქონე დავალების ბარათები ალბათ ყველაზე ადვილი გამოსაყენებელია. მოსწავლეებს შედარებით სწრაფად შეუძლიათ მათი ამოხსნა. გარდა ამისა, ვინაიდან ასეთი ბარათების ფორმატი სტანდარტული ტესტების მრავალი ტიპის მსგავსია, მათი გამოყენება იდეალურია ტესტებისათვის მოსამზადებლად. ბარათებზე პასუხის გაცემა სწრაფად და მარტივად ხერხდება, რადგანაც მოსწავლემ მასში სულ რაღაც ერთი ასო უნდა ჩაწეროს ან შემოხაზოს. თუ ხელთ გვაქვს სწორი პასუხების ფურცელი, მოსწავლეებს შეუძლიათ ადვილად შეამოწმონ საკუთარი ნამუშევარი. ასარჩევი პასუხების მქონე ბარათი ზედგამოჭრილია ასევე მთელ კლასთან სამუშაოდ “გადაადგილების” მსგავსი ტიპის თამაშებისთვის, ან მოსწავლეების ინდივიდუალურ დაფებთან პასუხის დროს.

## მოკლე პასუხი

მოკლე პასუხის მქონე დავალების ბარათების მთავარი უპირატესობაა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მოსწავლეს მეტ გამონვევას სთავაზობს, ვიდრე ასარჩევი პასუხის მქონე ბარათები. ასეთი ბარათების გამოყენებისას დიფერენცირების ერთერთი ხერხია თანაბარი გამონვევის მქონე ბარათების ორი კომპლექტის ქონა, რომელთაგან ერთერთი შეიცავს მოკლე პასუხების მქონე ბარათებს შედარებით ძლიერი მოსწავლეებისთვის. მოკლე პასუხების მქონე ბარათებზე პასუხის გაცემა ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივი პროცესია, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოსწავლემ ერთ ასოზე მეტი უნდა დაწეროს. სწორი პასუხების ფურცლის ქონის შემთხვევაში მოსწავლეებს აქაც შეუძლიათ საკუთარი ნამუშევრების შემოწმება.

## ღია კითხვები

ღია შეკითხვებზე ერთადერთი სწორი პასუხი არ არსებობს. შეიძლება რამდენიმე პასუხი იყოს მისაღები, ან სულაც შესაძლებელია, შეკითხვა სრულიად ღიად დარჩეს და მასზე

ყველა მოსწავლეს უნიკალური პასუხი გააჩნდეს. ასეთი ტიპის ბარათი მეტ სივრცეს ტოვებს კრეატიულობისათვის, რის გამოც იგი ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთა საყვარელი ბარათის ტიპიცაა.

## **აქტივობის ბარათები**

აქტივობის ბარათებში ჩვეულებრივ არაა დასმული შეკითხვა. მათში მოცემულია მოსწავლის მიერ შესასრულებელი დავალება. ასეთ ბარათზე მოცემული დავალების შესრულება, ჩვეულებრივ, ერთბაშად ვერ მოხერხდება. ერთ ბარათზე მოცემული დავალების შესასრულებლად მოსწავლეებს შეიძლება საათები დასჭირდეთ. ასეთ ბარათს იდეალურად მოერგებოდა საშინაო დავალების როლი.

## **სხვა გასათვალისწინებელი საკითხები**

უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლები თვითონ ბეჭდავენ, წრიან და ალამინირებენ ბარათებს. იმისდა მიუხედავად, ყიდულობენ თუ ქმნიან ისინი ბარათებს, მათ უნდა გაითვალისწინონ დრო და მასალები, რომლებიც იხარჯება ბარათების დასამზადებლად და ის, თუ როგორ აპირებენ მათ გამოყენებას.

- ბარათების ზომა: დიდი ზომის ბარათები მშვენივრად გამოიყენება პატარა ასაკის მოსწავლეებთან სამუშაოდ და მათზე თვალყურის დევნებაც უფრო ადვილია. მეორე მხრივ, მცირე ზომის ბარათების გამოყენებით შეგვიძლია ქალაქის ეკონომია.
- როგორ გამოიყენება ფერები: ზოგიერთ დავალების ბარათს ქრელი ფონი აქვს. ამის გამო ბარათები შეიძლება უფრო ლამაზი გამოვიდეს, მაგრამ მათ ბეჭდვაში მასწავლებელმა შეიძლება პრინტერის ბევრი საღებავი დახარჯოს.
- საერთო ხარისხი: მასწავლებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ ბარათებს, რომელთა გამოყენებასაც ისინი მოსწავლეებთან მუშაობის დროს აპირებენ, კარგი დიზაინი აქვს და ლამაზად გამოიყურება.

## **ბარათები გავლილი მასალის განსამტკიცებლად**

დავალების ბარათების გამოყენება შესანიშნავი იდეაა იმ მოსწავლეთა შემთხვევაში, რომელთაც ამა თუ იმ სფეროში ცოტაოდენი გავარჯიშება სჭირდებათ. მოსწავლეებს ბარათები ხშირად სავარჯიშოების ფურცელს ურჩევენიათ, ვინაიდან ბარათზე მხოლოდ ერთი დავალებაა მოცემული, რაც მოსწავლეს გადაღლისგან იცავს. მოსწავლეებს შეუძლიათ ამოხსნან ზუსტად იმდენი დავალების ბარათი, რამდენიც მათ კონკრეტულ უნარში განაფვისათვის ესაჭიროებათ. მოსწავლეს შეუძლია იმუშავოს დავალების ბარათებზე მაშინაც კი, როცა მასწავლებელი ჯგუფთან ერთად მუშაობს. ასევე შეგვიძლია ბარათების კომპლექტები მომდევნო დღისათვის საშინაო დავალებად გავატანოთ გარკვეულ მოსწავლეებს, რომელთაც დამატებითი სამუშაო ნაადგებოდათ.

## **გამოცდილების გამრავალფეროვნება**

ძლიერი მოსწავლეებისათვის გამოწვევის შემცველი დავალების ბარათების მიცემა შესანიშნავი იდეაა. იდეალურ შემთხვევაში ბარათებზე მოცემული დავალებებით მოსწავლემ უფრო ღრმად უნდა გამოიკვლიოს შესასწავლი საკითხი ან დაამყაროს კავშირი მომიჯნავე საკითხებთან. არ ღირს ბრწყინვალე მოსწავლის დროის ფუჭი ხარჯვა ერთფეროვან დავალებებზე.

## **ჯგუფებში მუშაობა**

მცირე ჯგუფებში დავალების ბარათები შეგვიძლია რამდენიმენაირად გამოვიყენოთ. ინდივიდუალური დაფების გამოყენებით ყველას შეუძლია იმუშავოს ერთსა და იმავე ბარათზე და მომდევნო ბარათზე გადასვლამდე ერთმანეთის პასუხები შეადარონ. ასევე შეგვიძლია ყველა მოსწავლეს სხვადასხვა ბარათი დავურიგოთ, მივცეთ გარკვეული დრო დავალების შესასრულებლად და ვთხოვოთ, გადაანოდოს თავისი ბარათი მის გვერდზე მჯდომ მოსწავლეს და ახლა უკვე ახალი დავალება შევასრულებინოთ.

## პროგრესისთვის თვალყურის დევნება

პასუხების ჩანერის ხერხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ბარათებს იყენებს მასწავლებელი. მოკლეპასუხებიანი ბარათების შემთხვევაში სრულიად მისაღებია პასუხების ფურცელი. მოსწავლეებს შეუძლიათ ჩაინერონ თავიანთი პასუხები პასუხების ფურცელში და ჩააბარონ ის მასწავლებელს ან შეამოწმონ თავიანთი პასუხები სწორი პასუხების ფურცლის მეშვეობით, რომელსაც მათ მასწავლებელი დაურიგებს.

ზოგიერთი დავალების ბარათის ამოსახსნელად საჭიროა შედარებით ვრცელი, ღია პასუხები. მასწავლებელს შეუძლია დაანერინოს მოსწავლეს პასუხი რვეულის ფურცელზე ან დავალების ბარათის კითხვებზე პასუხისათვის განკუთვნილ დღიურში. მოსწავლეს შეიძლება ერთი კომპლექტით გათვალისწინებული დავალებების შესასრულებლად რამდენიმე დღე დასჭირდეს. სხვა შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს ამოარჩევინოს გარკვეული რაოდენობის ბარათები. მოსწავლეებს ამოხსნილ ბარათებზე თვალყურის სადევნელად შეიძლება გამოადგეთ საკონტროლო ფურცელი.

თუ მასწავლებელს სურს, ქალაქი საერთოდ არ გამოიყენოს, მას შეუძლია მოსწავლეები კომპიუტერებთან ამუშავოს და პასუხები ელექტრონული ფორმით ჩაანერინოს. მოკლეპასუხებიანი ბარათების შემთხვევაში ქალაქის გარეშე მუშაობის კიდევ ერთი ვარიანტი არის მოსწავლეების მიერ თავიანთი პასუხების ინდივიდუალურ დაფებზე ჩანერა და თავიანთი ნამუშევრების შესამოწმებლად სწორი პასუხების ფურცლის გამოყენება.

